ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ივლისის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 30 ივლისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N13

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 30 ივლისი 2025 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ამირან ოქრომჭედლიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ბესიკ კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

მარინე ხვედელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

როინ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსი

ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკითხთა ნუსხა

1.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

3.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ,რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა

სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: როინ გელაშვილი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი,

მომხრე 7,

წინააღმდეგი.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე **„**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,
საკითხის არსებითი განხილვის დაწყებამდე მან ბიუროს წინაშე გააკეთა ზეპირსიტყვიერი განცხადება, რომელიც ეხებოდა საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მომზადებულ მოხსენებითი ბარათის მე -2 პუნქტით გათვალისწინებულ თანხას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გზების რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამატებით გამოყოფილი 498 976 ლარის დამადასტურებელი საქართველოს მთავრობის განკარგულების ამ ეტაპისათვის წარმოუდგენლობას და აღნიშნა, რომ თუ მათ მიერ განკარგულება ვერ იქნა წარმოდგენილი საკრებულოს სხდომამდე 01 აგვისტომდე ამ ნაწილში განსახორციელებელი საბიუჯეტო ცვლილება მოიხსნებოდა. ამის შემდეგ დაიწყო საკითხის განხილვა . ბიურომ გაიზიარა მომხსენებლის ზეპირსიტყვიერი განცხადება და სხდომის თავმჯდომარემ

კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 01 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი:

მომხრე 7

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ, მან ბიუროს წევრებს წარუდგინა ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ექვსი თვის გეგმა - შესრულების შესახებ

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 04 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი:

მომხრე 7

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას .

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ზურაბ ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 04 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი:

მომხრე 7

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს .

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსის როინ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ, სხდომის თავმჯდომარემ რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებზე არაერთხელ დადგა საკითხი მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენებისათვის ადგილის გამოყოფის შესახებ, რა ხდება ამ კუთხით.

როინ გელაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ პრობლემა არ არის გადაწყვეტილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 04 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი:

მომხრე 7

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი

1.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დავით კიკნაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
   მომხს: შმაგი ხიჯაკაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
   მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი

3.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ,რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: როინ გელაშვილი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსი .

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დავით კიკნაძე**